№1224 2015 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი

შპს „Georgia Invest“-ის საქმიანობის ხელშესაწყობად გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 185 000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.643 და №01.72.14.014.644) შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსა“ (ს/კ №404389372) და შპს „Georgia Invest“-ს (ს/კ №404914376) შორის 2012 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტისა და შპს „Georgia Invest“-ისათვის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო, ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების შეწყვეტამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე, შემდეგი პირობებით:

ა) შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ საკუთრებაში

დაბრუნდება ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 5222 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.643) და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 129 778 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.689);

ბ) შპს „Georgia Invest“-ის საკუთრებაში დარჩება, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 50 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, კერძოდ: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.691) და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 47 800 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.690).

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**